# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 3 მარტი 2007 №47 (2970) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთავარი არ იყო მთავარი



გუშინ კი ვწერდით, მე-15 ტურის მატჩების შედეგები შედარებით იოლად გამოსაცნობიაო, მაგრამ „მერანი“ და „ბათუმი“ თურმე ასე არ ფიქრობდნენ: თბილისელებმა „ზესტაფონიდან“ წაიღეს ქულა, აჭარელებმა კი გლდანიდან. და ვინ იხეირა ყველაზე მეტად ამ სიურპრიზებით? ცხადია, რევაზ ძოძუაშვილის „ოლიმპმა“, ვინაც თელავის „კახეთთან“ სტუმრად 5:0 იმარჯვა და ოთხქულიანი უპირატესობით წამოიჭიმა პირველ ადგილზე. ნესტორ მუმლაძის „ვიტ ჯორჯიამ“ კი „სიონთან“ ბოლნისში 0:1 წააგო და საჩემპიონო მარულას ნელ-ნელა შორდება — ტურის მთავარი მატჩი სწორედ ქვემო ქართლში იყო და აქვე ეროვნულ ჩემპიონატში მობრუნებული ვიტალი დარასელიას გოლიც უნდა ვახსენოთ...

„სიონი“ — „ვიტ ჯორჯია“ 1:0. ვიტალი დარასელია (№13) ეროვნულ ჩემპიონატში გოლით დაბრუნდა

# სპილოს საუკეთესო ძვალი

## დიდიე დროგბა: შავი კონტინენტის თეთრი მარგალიტი



აფრიკის 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო-წოდება დიდიე დროგბას ერგო. ამ გამოკითხვის 36-წლიან ისტორიაში კოტდივუარელმა პირველად გაიმარჯვა.

ლონდონის „ჩელსის“ ფორვარდმა 79 ხმა მიიღო და ხუთით გაუსწრო ბარსელონელ სამუელ ეტოოს, რომელსაც ზედიზედ მეოთხედ შეეძლო აფრიკაში საუკეთესოობა.

მესამე ადგილზე დროგბას თანაკლუბელი, განელი მიკაელ ესიენი გავიდა.

„ენით აუწერელ სიამოვნებას განვიცდი — თქვა გამარჯვებულმა — ერთ-ერთი უდიდესი ჯილდო მერგო და მიხარია, რომ ჩემი შრომა დაფასდა“.

დიდიე დროგბამ პროფესიული კარიერა ფრანგულ „ლე მანში“ დაიწყო, შემდეგ „გენგამში“, მერე „მარსელში“ გადავიდა და სახელიც იქ გაითქვა. „მარსელიდან“ „ჩელსიმ“ იყიდა 2004 წელს და მას შემდეგ ინგლისურ პრემიერლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ამ სეზონში მან ყველა ტურნირში 28 გოლი შეაგდო, ხოლო ამჟამად ჩემპიონატის მთავარმეგოლეა.

დროგბა ინგლისში მოთამაშე მესამე აფრიკელია, ვინც ეს ჯილდო მოიგო. 1999 წელს ნიგერიელ ნვანკო კანუს ერგო „არსენალში“ ყოფნისას, 2002-ში კი ლივერპულელ სენეგალელ ელ ჰაჯი დიუფს.

სპილოსძვლისნაპირელმა დროგბამ „ჩელსისთან“ ერთად ორი პრემიერლიგა, ორი ლიგის თასი და ინგლისის სუპერთასი მოიგო. შარშან, თებერვალში, ნაკრებთან ერთად, რომელიც პირველად მოხვდა აფრიკის ერთა თასის ფინალში, ეგვიპტესთან დამარცხდა.

დაჯილდოების ცერემონიალზე კონტინენტის საუკეთესო ნაკრებად განა დაასახელეს, საუკეთესო კლუბად ეგვიპტის „ალ აჰლი“, ხოლო მწვრთნელებში პირველობა ამავე კლუბის თავკაც მანუელ ჟოზეს ერგო. ახალგაზრდებში კი ჯილდო ფრანგული „მარსელის“ ნიგერიელმა მცველმა ტაიე ტაივომ მოიპოვა.



სამუელ ეტოო



მიკაელ ესიენი

AFP

# საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 15 ტური

# ბოლნისში ახალი ჯილდაა

ბოლნისი. 2 მარტი. 15 საათი. თამაზ სტეფანია. 600 (ტევადობა 4 000)

## სიონი 1:0 ვიტ ჯორჯია

1:0 დარასელია (28)

**სიონი:** მამალაძე, ექონია, ორბელაძე, ფრიდოლინი, რაქვიაშვილი, სანიკიძე, ბაბუნაშვილი (ა. ალავიძე 67), ვ. დარასელია (ბ. ცხადაძე 46), კორღალიძე, ჩასემი (ოქრომჭიძე 90), სილაგაძე
*სათადარიგონი:* ბობღიაშვილი; სვანიძე, ვ. უგრეხელიძე, ევოჩე
**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კვალინაძე (ლუჭაშვილი 55), ზ. სახოკია (კიკნაძე 65), გელაშვილი (ბერიაშვილი 65), გ. მელქაძე
*სათადარიგონი:* ლურბელეიშვილი; ადამაძე, კლიმიაშვილი, ბექვაია
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**გაფრთხილება:** გ. დათუნაიშვილი (31), დარასელია (41), რაზმაძე (41), ორბელაძე (85)

**მსაჯები:** ჯ. ბუიშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; ვ. გუმბერიძე

## ვიტალი დარასელიამ ჯორჯია მიადებიუტა

**მიხეილ ჟორჟოლიანი ბოლნისიდან**

**ტურის** მთავარი მატჩი უთუოდ ბოლნისში იყო. ჩემპიონს და ვიცე-ჩემპიონს წლეულს საოქროო ამბიციები კი აქვთ, მაგრამ მასპინძლებს პირველ წრეში, ვეტერინარებს კი მეორე წრის სტარტზე დაკარგული ქულები თავს აუცილებლად შეახსენებს.

„სიონი" მეორე წრეს გაცილებით მოღონიერებული შეხვდა, თუმც წინა ტურში რუსთავში 0:3 წაგებულმა მატჩმა გულშემატკივრს ალბათ იმედი მოაკლო.

...ბოლნისელთა კამერუნელი ლეგიონერი ბოიომო ფრიდოლინი დასაწყისშივე უხეშად შეცდა და ნიკოლოზ გელაშვილს ბურთის გატანა არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კარს ვერ დაუმიზნა. თანაგუნდელის შეცდომამ ბოლნისელები კარგა ხანს ვერ მოიყვანა გონს და დალაგებული თამაში მხოლოდ მეთხუთმეტე წუთიდან დაიწყეს. ლიდერად კი ვიტალი დარასელია იქცა — ყაზახეთიდან ჩამოსულმა „სიონში" სადებიუტო მატჩში ვეტერინართა დაცვა აიკლო.

მე-17 წუთზე ერიკ რომეო ჩასემმა საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი სამ მცველს აწაპნა და ლევან კორღალიძეს უპასა, რომლის დარტყმა საკმაოდ სუსტი იყო.

22-ე წუთზე დარასელიამ 25-27 მეტრიდან შესანიშნავად დაარტყა საჯარიმო — გრიგოლ ბედიაშვილმა ბურთი კუთხურზე გადააგდო. ორ წუთში დარასელიამ მთელ მარჯვენა ფლანგს თავბრუ დაახვია და კორღალიძესაც კარგად გადააწოდა, მაგრამ ლევანის დარტყმული მეკარეს მოხვდა.

28-ე წუთზე ლევან სილაგაძემ საჯარიმოს შორეულ კუთხეში ლევან სანიკიძეს ჩააწოდა, მანაც საჯარიმოს ცენტრში დარასელია მოძებნა და ვიტალიმაც ბედიაშვილი უშანსოდ დატოვა.

გოლის შემდეგ „სიონი" კიდევ უფრო გახელდა და მეტოქის კარისკენ გაიწია — დარასელია ყველა ნაპრალში მარჯვედ ძვრებოდა, მაგრამ ისე დაშავდა, რომ პირველი ტაიმის შემდეგ შესაცვლელი შეიქმნა.

უდარასელიოდ დარჩენილმა „სიონმა" მეორე ტაიმში თითქოს ყურები ჩამოყარა და უპირატესობა დათმო. ვიტელები გასათანაბრებლად გაიქაჩნენ, მაგრამ კინაღამ აქეთ გაუშვეს გოლი.

69-ე წუთზე სწრაფი კონტრშეტევისას ბაჩანა ცხადაძე ჩასემს მეკარესთან პირისპირ ტოვებდა, მაგრამ მცველმა შეტევა ხელით ჩაშალა...

83-ე წუთზე კი ბოლნისელთა მცველების ამოტანილი ბურთი ყველას გადაახტა, ჩასემი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთი ბედიაშვილსაც გადაავლო და მეტოქის კარსაც.

ბოლო წუთებში „ვიტ ჯორჯია" ბოლნისელთა საჯარიმოს მისადგომებთან კი ტრიალებდა, მაგრამ იქამდე ვერგამოყენებულმა რეალურმა საგოლე მომენტმა თბილისელები შინ უქულოდ გაისტუმრა.



ვიტალი დარასელიამ „სიონში" კაპიტნის სამკლავურიც მოირგო

### პრესკონფერენცია

*ნესტორ მუმლაძე:* კარგი თამაში იყო, საწყენია, რომ პირველივე წუთებზე რეალური შანსი ვერ გამოვიყენეთ. ამის მერე თამაში დავკარგეთ, პირველი ტაიმი მეტოქეს ვაჩუქეთ.

*კახა ცხადაძე:* „ვიტ ჯორჯია" ბოლო წლებში საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია მკვეთრი ხელწერით. პირველი ტაიმი ჩვენი იყო, მეორეში ტერიტორიული უპირატესობა შეგნებულად დავთმეთ და თამაში კონტრშეტევაზე ავაგეთ. ვფიქრობ, ამან გაამართლა, გოლის გატანის შანსი მეტოქისთვის არ მიგვიცია, ხოლო იმ მომენტების გაფუჭება, რაც ჩვენ ვერ გამოვიყენეთ, პატარა ბავშვსაც არ ეპატიება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 15 | 12 | 2 | 1 | 40:5 | 38 |
| ამერი | 15 | 10 | 4 | 1 | 30:8 | 34 |
| ზესტაფონი | 15 | 10 | 4 | 1 | 27:5 | 34 |
| დინამო | 15 | 11 | 0 | 4 | 28:12 | 33 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 9 | 4 | 2 | 30:17 | 31 |
| ტორპედო | 15 | 8 | 4 | 3 | 18:8 | 28 |
| სიონი | 15 | 8 | 2 | 5 | 20:13 | 26 |
| ლოკომოტივი | 15 | 4 | 3 | 8 | 11:21 | 15 |
| მერანი | 15 | 4 | 3 | 8 | 13:28 | 15 |
| ბათუმი | 15 | 3 | 4 | 8 | 12:15 | 13 |
| ბორჯომი | 15 | 3 | 4 | 8 | 15:27 | 13 |
| ჩიხურა | 15 | 2 | 4 | 9 | 10:26 | 10 |
| დილა | 15 | 0 | 3 | 12 | 8:42 | 3 |
| კახეთი | 15 | 0 | 1 | 14 | 10:45 | 1 |



ვიტელთა იერიშებმა ბოლნისელებს ვერაფერი დააკლო

# ხუმარა-გოლი
## ჰაინცელებს პირველობის შანსი გაუჩნდათ

**გუშინ** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიაში მასპინძლებს 1:0 მოუგო — ოთხთა ტურნირის მეორე მატჩი ჰაინც ტოპმიოლერის გუნდმა პირველზე უკეთესად ითამაშა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესამსახურის ცნობით, პორტუგალიელებს მხოლოდ ერთი სახიფათო მომენტი ჰქონდათ.

გოლი გიორგი ხუმარაშვილმა გაიტანა — მან თავურით დაამწუხრა პორტუგალიელები. პირველი მატჩი ჩვენმა იუნიორებმა ირლანდიასთან 0:1 წააგეს, გუშინდელი გამარჯვებით კი ტურნირის მოგების შანსი გაუჩნდათ — ხვალ ჩვენი 19-წლამდელები ბელგიელ თანატოლებს შეხვდებიან.

პორტუგალიელებთან მატჩში განსაკუთრებით მეკარე გიორგი მაკარიძე და გამთამაშებელი ლევან ყენია გამოირჩნენ, შთამბეჭდავად უთამაშია ფორვარდ ვახტანგ ფანცხავასაც.

გუშინ პორტუგალიასთან ამ შემადგენლობამ ითამაშა: *მაკარიძე, ბენაშვილი, ხუმარაშვილი, სანაია, სალარიძე (ლვინიაშვილი 24; ჯანელიძე 86), დაუშვილი, ჩარგეიშვილი (წულაძე 13), თარგამაძე, მჭედლიძე, ყენია, ფანცხავა.*

**ლუკა თალაკვაძე**

## ინგლისი
ჩემპიონატი. XXXVI ტური
დერბი 5:1 კოლჩესტერი
I ლიგა. XXXIV ტური
ტრანმერი 2:0 ჩესტერფილდი
II ლიგა. XXXVI ტური
ჩესტერი 1:1 ტორკი
შრიუსბერი 0:0 როვერსი
კონფერენსი. XXXIV ტური
ბარტონი 2:1 ალტრინჰემი

## გერმანია
ბუნდესლიგა. XXIV ტური
შალკე 0:2 ჰამბურგი
II ბუნდესლიგა. XXIV ტური
აუე 1:0 კაიზერსლაუტერნი
ფიურტი 2:1 აუგსბურგი
უნტერჰახინგი 2:0 კარლ ცაისი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXIII ტური
ოსნაბრიუკი — მაგდებურგი
გადაიდო
სამხრეთ რეგიონალლიგა XXII ტური
ზიგენი 2:1 საარბრიუკენი

## საფრანგეთი
II დივიზიონი. XXVII ტური
აიაჩო 3:1 გრენობლი
ამიენი 2:1 ისტრი
შატორუ 0:1 ლიბურნი
კრეტეი 0:2 ბრესტი
დიჟონი 1:0 გენიონი
გენგამი 1:0 რეიმსი
მონპელიე 1:1 მეცი
ნიორი 0:0 ბასტია
ლე ავრი 0:1 სტრასბური

## ჰოლანდია
I დივიზიონი. XXVII ტური
ნაიმეგენი 0:3 ტვენტე
II დივიზიონი. XXX ტური
აპელდორნი 2:1 ვეენდამი
კამბური 4:2 დორდრეხტი
გრააფსხაპი 2:0 ოსი
დენ ბოსხი 2:2 ზვოლე
ეინდჰოვენი 1:1 ჰაარლემი
ემენი 0:2 სიტარდი
იგლსი 1:2 ვოლენდამი
მაასტრიხტი 2:1 როზენდალი
ალმერე 1:1 ჰელმონდი
ტელსტარი 3:1 ვენლო

## ბელგია
I დივიზიონი
XXIV ტური
რუზელარე 3:1 ვარეგემი

## თურქეთი
სუპერლიგა. XXXIII ტური
ბურსა 0:0 ანთალია

## პორტუგალია
სუპერლიგა. XX ტური
ფერეირა 1:0 სეტუბალი

სარბიელელები სამძიმარს უცხადებთ უფროს და უმცროს დავით მუჯირებს დედის და ბებიის
**მერი მუჯირის**
გარდაცვალების გამო.
გამოსვენება სამშაბათს, 14 საათზე, გომბორის 42

საფეხბურთო სკოლა „ოლიმპი" და რუსთავის „ოლიმპი" სამძიმარს უცხადებენ „ოლიმპის" სპორტკომპლექსის დირექტორს გელა გუჯაბიძეს
**დედის**
გარდაცვალების გამო

## საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · II წრე. 15 ტური

# ამერი ვერც ბათუმს მოერია და ვერც საკუთარ თავს



თბილისი. 2 მარტი. 15.10 საათი. ამერი. 800 (ტევადობა 900)

## ამერი 0:0 ბათუმი

| | |
|---|---|
| ამერი: ქვაჩახია, დავითნიძე, ხვადაგიანი, დიდავა, ჩიკვილაძე, გაბისკირია (ტატანაშვილი 46), ჯელაძე, მესხი, დობროვოლსკი, ჩიმაკაძე (სილაგავა 80), დავითაშვილი<br>სათადარიგონი: ნადირაშვილი; ფირანიშვილი, გვაძაბია, ნიკოლაიშვილი, კაკაშვილი<br>მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | ბათუმი: სომხიშვილი, თედორაძე, გალოგრე, ლობჟანიძე, დუმბაძე, შალამბერიძე, ნერგაძე, თურმანიძე (ცანავა 68), დარჩიძე (კუნჭულია 83), ბეჟანიძე (ხოხონიშვილი 28), კვარაცხელია<br>სათადარიგონი: ბექთაშევი; ა. ბაჟელიძე, ფარტელაძე, კერესელიძე<br>მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე |
| გაფრთხილება: დუმბაძე (46), კვარაცხელია (56) | |
| მსაჯები: ა. კრიჟაშვილი; შ. ქუხილავა, დ. სანოძე; გ. ვადაჭკორია | |
| დამკვირვებელი: ი. რუხაძე, დირექტორი: დ. ბოკერია | |

კობა ინასარიძე

**გუშინ** „ბათუმთან“ დაკარგული ეს ორი ქულა ჩემპიონატის ბოლოს „ამერს“ იქნებ ძალიან ძვირად და ოქროს ფასად დაუჯდეს. ასეთ დაძაბულ სატურნირო ვითარებაში ფეხის დაცდენას, აბა, ვინ გაპატიებს — ამ შეხვედრის შემდეგ ლიდერსა და „ამერს“ შორის ქულებში სხვაობა გაორმაგდა. შესაბამისად კი, „ოლიმპის“ საჩემპიონო შანსებმაც იმატა... იტალიაში ამბობენ ხოლმე, სერია A-ს ის გუნდი იგებს, რომელიც აუტსაიდერებთან ნაკლებ ქულას დაკარგავსო. მართალია, სერიამდე საქართველოს ჩემპიონატს ძალიან ბევრი უკლია, მაგრამ მაინც... წინა ჩემპიონატს თუ გავიხსენებთ, „ამერმა“ საჩემპიონო შანსები სწორედ მეორე წრეში, წყალწაღებულ „ცხინვალთან“ დაკარგული ქულებით შეიმცირა და საბოლოოდ ცხრილში მეშვიდეობას დასჯერდა. ახლაა და, „ბათუმთან“ ვერ ივარგეს „ყვითლებმა“, ლიდერსაც უფრო ჩამორჩნენ და თან ერთი ძლიერი კონკურენტი — „დინამოც“ მიიახლოვეს. ჩემპიონატის თითქმის ნახევარი ჯერ კიდევ წინაა, მაგრამ ამერელებმა გუშინდელივით თუ გააგრძელეს, ვეჭვობთ, პირველობისთვის ბრძოლას ბოლომდე მიჰყვნენ.

გუშინ „ამერს“ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა, ზოგი ავადმყოფობის, ზოგიც დისკვალიფიკაციის გამო. მასპინძელთა თავკაცმა ორი ერთი ტიპის საყრდენი ნახევარმცველი, დენის დობროვოლსკი და მიხეილ მესხი ერთდროულად ალბათ ამიტომაც ათამაშა, მათ წინ კი იური გაბისკირია გაამწესა, ვინც შესვენებაზე შეცვალა, ხოლო მის ნაცვლად ახლახან მომჯობინებული დიმიტრი ტატანაშვილი ჩვეულზე ოდნავ უკნიდან ათამაშა. განლაგების მხრივ „ამერის“ რიგებში ცვლილება ეს იყო. „ყვითლებისთვის“ ძალიან უჩვეულო კი თამაშის ხარისხი გამოდგა. თავდასხმის ხაზში სულიკო დავითაშვილს ბესიკ ჩიმაკაძე შეწყვილებოდა, ვისაც მატჩის დასაწყისშივე ჰქონდა კიდეც ყველაზე რეალური საგოლე მომენტი...

ბათუმელთა ტაქტიკა-სტრატეგიაზე ბევრიც არაფერი გვაქვს სათქმელი — ეს გუნდი ხომ მთლად ახალშექმნილია და ამის კვალობაზე ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. ცოტა საკვირველი კი ისაა, „ბათუმის“ ლიდერად ისევ ვიტალი დარჩიძე რომ ჩანს, ვისაც თითქმის ორი სეზონი არ ეთამაშა.

თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძელთა კარნახით დაიწყო და „ყვითლებს“ ოდნავ რომ გამართლებოდათ, მაშინვე დაწინაურდებოდნენ. ჯერ გიზო ჯელაძის დაბალ ჩაწოდებულს ჩიმაკაძემ მიარტყა ფეხი — ბურთი მეკარისგან ხარიხას მოხვდა, მერე კი გიორგი დავითნიძის თავური ლამის ცარიელი კარიდან კობა შალამბერიძემ მოიგერია. შემადგენლობაში საგრძნობი დანაკლისის მიუხედავად, მაინც მოულოდნელი იყო, „ამერმა“ ტემპსა და აგრესიას რომ უკლო და პირველი ტაიმი რაღაც უგერგილოდ ჩაამთავრა. ფავორიტთან მატჩში, ცხადია, შეტევებით არც ბათუმელებს გამოუდვიათ თავი.

შესვენებაზე გაკეთებულ შეცვლაზე უკვე ვთქვით. „ამერიც“ მერე უფრო მწვავედ ათამაშდა, მაგრამ, როგორც გამოჩნდა, „ბათუმის“ დასამარცხებლად მხოლოდ ეს სიმწვავე საკმარისი არ ყოფილა. ერთი პერიოდი სტუმართა კართან ამერელებმა შტურმისმაგვარიც კი მოაწყვეს, გიზო ჯელაძის აჭრილი ბურთი „ბათუმის“ კარის ხარიხას მეორედაც მოხვდა, თუმცა ამ უპირატესობას მასპინძელთათვის სასურველი შედეგი არ მოუტანია. ბათუმელთა მეკარეს მაინცდამაინც ბევრი საქმე არ ჰქონია, ალსანიშნი უფრო სტუმართა დაცვის დამაჯერებელი თამაში და მასპინძელთა უზუსტობაა...

## პრესკონფერენცია

*გიორგი ჩიხრაძე:* პირველ ტაიმში ინერტულები და ზედმეტად თავდაჯერებულები ვიყავით. თამაშისადმი ასეთი მიდგომის უფლება არ გვქონდა და სამწუხაროა, რომ ქულები დავკარგეთ. მაგრამ ჯერ არაფერი გვაქვს დაკარგული. წინ კიდევ ბევრი თამაშია. „ბათუმმა“ კი ბრძოლით და მონდომებით დაიმსახურა სასურველი შედეგი.

*ამირან გოგიტიძე:* ვიცოდით, რომ „ამერს“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა. თავიდანვე დაცვითი ტაქტიკა გვქონდა ჩაფიქრებული და როგორც ხედავთ, ამან გაამართლა. ჩვენთვის „ამერთან“ მოპოვებული ქულა დაუგეგმავი იყო და ეს ალბათ მნიშვნელოვნად წაგვადგება უმაღლეს ლიგაში დასარჩენად.





საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 15 ტური

# სეფიაშვილის სეფე სიტყვა

ზესტაფონი. 2 მარტი. 15 საათი. ცენტრალური. 5000 მაყურებელი

## ზესტაფონი 1:1 მერანი

| | |
|---|---|
| 1:0 ფიფია (21), 1:1 შ. ლონლაძე (23ს.კ) | |
| ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, შ. ლონლაძე, რ. ონიანი, კ. ჩხეტიანი, სანტოსი (ნ. კვასხვაძე 59), ტორესი, გ. ჭელიძე, ვიეირა, ფიფია, იონანიძე (გ. ჩხეტიანი 72) *სათადარიგონი:* ჯალალონია; ბ. ნოზაძე, გ. ხოდელი, ძარია, დოლონაძე მწვრთნელი: თემურ მახარაძე | მერანი: სეფიაშვილი, კედელაშვილი, ლ. გრიგალაშვილი, აფშილავა, ოსიტაშვილი, კობერიძე, ქემაშვილი, ბესარაშვილი, ფურცელაძე, ჩივაძე (სიხარულიძე 70, თურქია 79), დეისაძე (ნაკანი 53) *სათადარიგონი:* ლუნჩაძე; ჩაჩიბაია, სახვაძე მწვრთნელი: სერგო კუტივაძე |
| გაფრთხილება: ქემაშვილი (24), აფშილავა (35), კობერიძე (51), ვიეირა (61), თურქია (87) | |
| გაძევება: კედელაშვილი (74) | |
| მსაჯები: დ. სანაია; მ. ნაკაიძე, კ. გუდურაშვილი; კ. ჭაჭუა | |

**გოჩა ჯანაშია ზესტაფონიდან**

**ბევრს** ეგონა, რომ „ზესტაფონი" იოლად მოინელებდა ნაკლებამბიციურ „მერანს", მაგრამ ასე არ მოხდა. კერკეტმა სტუმრებმა ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლეს და დედაქალაქში სასურველი ქულით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ.

მეორე ეტაპზე „ზესტაფონი" პირველად თამაშობდა საკუთარი მოედანზე, თუმც ქომაგი ვერ გაახარა. მასპინძელთაგან ყველაზე კარგი შთაბეჭდილება ბრაზილიელმა ვიეირამ დატოვა.

„ზესტაფონი" ქაოტური შეტევებით ვერაფერს აზერხებდა. კარგად გამოჩნდა, რომ „მერანი" ფრისთვის იბრძოდა. მერანელებს შეტევაზე ფიქრიც კი არ სურდათ, ბოლო წუთებზე ასეთი ეპიზოდიც იყო: კონტრშეტევაზე სამი მერანელი ორი ზესტაფონელის წინააღმდეგ აღმოჩნდა, ჩინებული საგოლე შანსი იყო, მაგრამ ილია ქემაშვილმა იჩქარა და შორეული დარტყმით ააცილა კარს — „მერანი" იმდენად იყო კონცენტრირებული დაცვაზე, რომ ამ ხელსაყრელმა მომენტმა მისი ფეხბურთელები დააბნია.

..გოლამდე რამდენიმე სახიფათო მომენტი იყო. ჯერ დეისაძემ ააცილა თავურით, შემდეგ ქემაშვილს აუღო გია ჭანტურიამ, ფიფიამაც შორიდან სცადა ბედი, მაგრამ ბურთს კოკა სეფიაშვილი დაუხვდა.

ფიფიამ მაინც მოახერხა გატანა — შორეულ ძელთან ჩასაფრებულს სანტოსის პასი მიუვიდა და ახლოდან „ზესტაფონის" დაწინაურება არ გასჭირვებია.

სულ ორი წუთი იყო გასული, „მერანმა" გამთანაბრებელი რომ გაიტანა: ლევან გრიგალაშვილის ფლანგურ ჯარიმას შალვა ლონლაძე ჩაუწვა და თავით საკუთარ კარში აეჭრა ბურთი.

„ზესტაფონმა" ისევ შეუტია, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნა, რომელთაგან ყველაზე რეალური ფიფიასი იყო — ზესტაფონელ შემტევს დამაგვირგვინებელი დარტყმა არ გამოუვიდა. ამის შემდეგ ორჯერ იყოჩაღა სეფიაშვილმა — ჯერ კახა ჩხეტიანის საჯარიმო დარტყმა მოიგერია, მერე კი ვიეირას „ცხრიანიდან" ჩამოუხსნა ბურთი.

მეორე ტაიმში ზესტაფონელთა იერიშები შეცვლაზე შესულმა ნიკა კვასხვაძემ გამოაცოცხლა, რომელიც მარჯვენა ფლანგიდან ბევრ პრობლემას უქმნიდა „მერანს". კვასხვაძის ჩაუქობის გარდა „ზესტაფონს" კიდევ ჰქონდა მწვავე მომენტი: ვიეირას თავური სეფიაშვილმა მოიგერია, გადმოვარდნილი ბურთი „მერანის" მცველებმა ჯერ მოიგერიეს და მანამდე ჩრდილში მყოფ იონანიძეს საგოლე შანსი მიეცა, მაგრამ ბურთი ბესარაშვილს გაარტყა.

მატჩის ბოლო ათი წუთი „ზესტაფონი" შტურმზე გადავიდა. გაგა ჩხეტიანმა თავურით ააცილა კარს, ხოლო ვიეირას დარტყმულს ისევ სეფიაშვილი გადაეფარა

### პრესკონფერენცია

*სერგო კუტივაძე:* ჩვენი გუნდი ახლა ჩამოყალიბების სტადიაშია და უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ვფიქრობთ. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ძლიერ მეტოქესთან კარგად ვიბრძოლეთ და სასურველ შედეგს მივაღწიეთ.

*თემურ მახარაძე:* დასანანი ორი ქულა დავკარგეთ. საგოლე მომენტები იმიტომ ვერ გამოვიყენეთ, რომ ფორვარდები კარგ ფორმაში არ არიან.

# ტორპედოს მადა სამეულს მისწვდა


ზვიად სტურუას საქმე არ მოჰკლებია

მალხაზ აბელიშვილის ფოტო

**ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან**

„ტორპედოს" უკვე მეხუთე წუთზე შეეძლო დაწინაურება — კახა კვეტენაძის ჩაწოდების შემდეგ თეიმურაზ ფარულავამ თავით სცადა ბურთის კარში გადაგზავნა, მაგრამ ააცილა. მერვე წუთზე კი მსაჯმა მასპინძელთა სასარგებლოდ პენალტი არ დანიშნა, რასაც რიონისპირელთა პროტესტი მოჰყვა — გიორგი ქუცურუას ბურთი საკუთარ საჯარიმოში ხელზე მოხვდა. მე-14 წუთზე კი პენალტი მაინც დაინიშნა — მეკარესთან პირისპირ გიორგი ჭედია აღმოჩნდა და სტუმრებს ისღა დარჩენოდათ, ფორვარდი აკრძალული ხერხით გაეჩერებინათ — 11-მეტრიანი გიორგი იმედაძემ ზუსტად შეასრულა.

„ტორპედო" შეტევებს აგრძელებდა, კახა კვეტენაძეს და ალეკო ლალაძეს ჰქონდათ ხელსაყრელი მომენტები. ერთ-ერთ კონტრშეტევაზე კი „ჩიხურასაც" მიეცა შანსი — გიორგი ქუცურუამ ორი მცველი მოატყუა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა.

38-ე წუთზე სტუმრებმა ერთხელაც შეუტიეს მწვავედ — გიორგი მიქაძემ ძლიერად დაარტყა და მაქსიმე ქვილითაიამ საკმაოდ რთული ბურთი მოიგერია.

40-ე წუთზე კი „ტორპედომ" მეორედ დალაშქრა მეტოქის კარი — ლევან კირკიტაძის მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულს გია იმედაძე შესწვდა და ტექნიკური თავურით მეკარეს გადაავლო ბურთი — 2-0.

„ტორპედომ" საქმე პირველივე ტაიმში მოამთავრა, მეტოქეც ანგარიშის შეცვლას დიდად არ ცდილობდა და სახიფათო მომენტებიც აღარ იქმნებოდა, მხოლოდ 90-ე წუთზე შეცვლაზე შესულ ზვიად ქუთათელაძეს ნიკა ნადირაძის პასით შეეძლო გატანა, თუმცა...

ქუთაისი. 2 მარტი. 15 საათი. ტორპედო. 800 (ტევადობა 20 000)

## ტორპედო 2:0 ჩიხურა

| | |
|---|---|
| 1:0, 2:0 იმედაძე (15პ, 40) | |
| ტორპედო: ქვილითაია, კილასონია, გურული, ფარულავა, ბარაბაძე, ლალაძე, ზივზივაძე, კვეტენაძე (ნ.ნადირაძე 46), კირკიტაძე, ჭედია (ქუთათელაძე 62), იმედაძე (წიქარიშვილი 58) *სათადარიგონი:* ხურცილავა; ზ. ჩხეტიანი, ოდიშარია მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე | ჩიხურა: სტურუა, თავბერიძე, ქემოკლიძე, ბარამიძე (ი.ზაბახიძე 46), ქუხილავა (ვ.ზაბახიძე 31), ბუცხრიკიძე, ვაშაკიძე, სტეფანიშვილი, ქუცურუა (მ.მიქაძე 77), გ.მიქაძე, დვალი *სათადარიგონი:* დოლაძე; გვეტაძე. მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი |
| გაფრთხილება: ქუცურუა (44), გ.მიქაძე (64), ვაშაკიძე (64), ლალაძე (88) კირკიტაძე (90) | |
| მსაჯები: ლ. სილაგავა; დ. კურტანიძე, თ. ხუჭუა; მ. ბეუქლიშვილი | |


გრიგოლ იმედაძე საჩხერელ მცველებს ხშირად უსხლტებოდა

მალხაზ აბელიშვილის ფოტო

### პრესკონფერენცია

*გიორგი კიკნაძე:* მოთამაშეების ეს ბირთვი სეზონის ბოლომდე თუ შევინარჩუნეთ, სამეულში მოხახვედრად რეალური შანსი გვექნება. შევეცდები, გუნდში ჯანსაღი კონკურენცია შევინარჩუნოთ, არც ერთ თამაშს უბრძოლველად არ დავთმობთ.

*ხვიჩა ქასრაშვილი:* „ჩიხურაში" ყოველ ექვს თვეში ახალი გუნდი ყალიბდება, ბიჭებს შეთამაშება აკლიათ. დანაკლისზეც უნდა ვთქვა — მახარაძე დისკვალიფიკაციის გამო გვაკლდა, ჩარგეიშვილი კი 19 წლამდელთა ნაკრებში გამოძახებული.

## საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა · II წრე. 15 ტური

# ვერ იყო გრიგალი გრიგალაშვილისგან

თბილისი. 2 მარტი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 500 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 0:0 ბორჯომი

| ლოკომოტივი | ბორჯომი |
|---|---|
| ლოკომოტივი: გვარამაძე, თუთბერიძე, ებრალიძე, გუშარაშვილი, კირკიტაძე (გულორდავა 46), მალიჩავა, გოჩაშვილი, ჩომახიძე, სამხარაძე, სოსელია (ელიზბარაშვილი 60), ჟღენტი (ბარბაქაძე 75) | ბორჯომი: კოდალაევი, ქარქოზაშვილი, მერაბიშვილი, ნადირაშვილი, თ. ღონღაძე, მემარნიშვილი, გრიგალაშვილი (საყვარელიძე 90), ავალიანი, კოშკაძე, ჯიქია (კაკალაძე 62), კაიდარაშვილი (კვერნაძე 55) |
| *სათადარიგონი:* მიგინეიშვილი; ბუდალაშვილი, კუპრეიშვილი | *სათადარიგონი:* შეყრილაძე; გოგიჩაიშვილი, თედიაშვილი, ლომიძე |
| მწვრთნელი: ამირან მინაშვილი | მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |

გაფრთხილება: მემარნიშვილი (13), ავალიანი (65), გრიგალაშვილი (80), სამხარაძე (86)

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; ბ. ჭიჭინაძე, დ. კვეტენაძე; ლ. კვარაცხელია

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე



მატჩის ბოლოს შოთა გრიგალაშვილს რომ გაეტანა...

**დავით თავართქილაძე**

**სათქმელი** ბევრი არაფერია — გუნდებმა ასე თუ ისე იბრძოლეს, რამდენჯერმე საგოლედ დაემუქრნენ ერთმანეთს და გასახდელებისკენ გაეშურნენ — ნაცრისფერი თამაში იყო ძალიან იშვიათი აფეთქებებით.

ისე, ვინც ცხრილში მშვიდე ადგილის ქვემოთაა, უმაღლეს ლიგაში დარჩენა მთლად გარანტირებული არ აქვს და ქულების ფლანგვა რას დამართებს, კაცმა არ იცის. მაგრამ ეს დიდ მოტივაციას მაინც ვერ უღვივებს მერვე-მეთერთმეტე ადგილებზე მოკალათებულ გუნდებს. თანაც „ლოკომოტივი“ და „ბორჯომი“ გუშინ თბილისში შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც, თუ უბნის გუნდი არ თამაშობს, საფეხბურთო ჟივილ-ხივილი იშვიათად ისმის. ჰოდა, რა სიტუაციაც იყო სტადიონზე, თამაშიც დაახლოებით ისეთივე გამოვიდა.

პირველი საგოლე შანსი „ლოკომოტივს“ ჰქონდა — მიხელ ჟღენტის ჩაწოდებულს ვლადიმერ გოჩაშვილმა დაუხვედრა თავი და ბურთი ოდნავ გადასცდა ხარიხას.

მერე ირაკლი სამხარაძემ იყოჩაღა, კარგადაც გადააწოდა ბურთი გოჩაშვილს, ვისაც დარტყმა გაუცუდდა და ხიფათი იოლად გააუვნებლა ბესო კოდალაევმა.

ჰაერში მოხდენილად გაიწვართა საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე დავით გვარამაძე — მან ლექსო კაიდარაშვილს აული ხვეული დარტყმა საშუალო დისტანციიდან.

პირველ ტაიმში თანაბარი თამაში იყო და ასე გაგრძელდა შესვენების შემდეგაც. ბევრი მოკლე პასი, რამდენიმე მოხდენილი დრიბლინგი, დაბალი ტემპი და ბევრი წუნი — ასეთ ბურთაობას ხეირიანი არაფერი მოჰყოლია.

მეორე ტაიმში ერთადერთი საგოლე მომენტი იყო — ალეკო კოშკაძე ჩინებულად გაისარჯა მარცხენა ფლანგზე, კარგად უპასა შოთა გრიგალაშვილს, საქართველოს ნაკრებების გერმანული სამწვრთნელო შტაბის ჯილამ ერთი მეტოქე კი გააბითურა, მაგრამ 10-11 მეტრიდან არაზუსტად დაარტყა.

# რა ზევით არის ოლიმპი!

თელავი. 2 მარტი. 15 საათი. გივი ჩოხელი. 1 000 მაყურებელი

## კახეთი 0:5 ოლიმპი

0:1 აფციაური (4), 0:2 გოცირიძე (17), 0:3 ძამსაშვილი (45), 0:4, 0:5 დვალიშვილი (56, 90)

| კახეთი | ოლიმპი |
|---|---|
| კახეთი: იაშვილი, კვირკველია, კობაიძე, გერგიშვილი, მურველაშვილი, ბიძინაშვილი (ძამუკაშვილი 46), კუპრაშვილი, ნ. დავითაშვილი, ჩუთლაშვილი (ბარბაქაძე 66), ამირანიძე (მედოევი 57), ხიდაშელი | ოლიმპი: მერლანი, ნავალოვსკი, სეთურიძე (ზუბუა 53), დვალიშვილი, გ. ონიანი, ქებაძე (ჩხარტიშვილი 58), მახვილაძე (ბერუაშვილი 64), აფციაური, ძამსაშვილი, ჭიჭვეიშვილი, რ. გოცირიძე |
| *სათადარიგონი:* ჩახუტაშვილი, მაზაიძე, ბ. ბურნაძე | *სათადარიგონი:* ალავიძე, მაჭავარიანი |
| მწვრთნელი: ვასილ არუდაშვილი | მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი |

გაფრთხილება: ხიდაშელი (29)

მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი; გ. ყრუაშვილი, ზ. ბერულავა; ო. ხეცაძე

**გიორგი კაციტაძე** თელავიდან

**თამაში** რუსთაველთა უპირატესობით დაიწყო და სტუმრები მალევე დაწინაურდნენ. მე-4 წუთზე თორნიკე აფციაური მეკარესთან პირისპირ გავიდა და 0:1.

სწრაფი გაშვებული გოლის შემდეგ დაბნეულ თელაველებს სახეირო არაფერი გამოსდიოდათ. აფციაურმა კვლავ შეუტია და ბურთი მცირე მანძილით ააცილა კარს. „კახეთის“ დაცვას ძალიან უჭირდა, რასაც ლოგიკური შედეგიც მოჰყვა: მე-17 წუთზე ფლანგურ ჩაწოდებას გოცირიძე დაუხვდა მარჯვედ — 0:2.

პირველი ტაიმის ბოლოს კი ძამსაშვილის ჯერი დადგა — ზურაბმა 25 მეტრიდან გაასამა ანგარიში.

მეორე ტაიმში სტუმრების თამაშს ვარჯიში უფრო ეთქმოდა, თუმც მათ ამ თამაშ-თამაშ თუ ვარჯიშვარჯიშ კიდევ ორი გაიტანეს.

56-ე წუთზე დვალიშვილმა კარგ დრიბლინგს გოლიც მიაყოლა, 90-ეზე კი დუბლიც მიითვალა — აფციაურის კუთხურიდან ჩაწოდებულს ზუსტი თავური შეაგება — 0:5.




ზედიზედ მეორე მატჩია, ლადო დვალიშვილს დუბლი გააქვს




ბადრი ქადაგიძის ფოტო

# სანდრო 2: იაშვილის საქმეს კობახიძე მიეჩვია

თბილისი. 2 მარტი. 15 საათი. შევარდენი. 700 (ტევადობა 1 500)

## დილა 1:2 დინამო

0:1 კობახიძე (30), 0:2 ფეიქრიშვილი (43), 1:2 სულთანიშვილი (56)

| დილა | დინამო |
|---|---|
| დილა: თევდორაძე, გ. კობახიძე, ბალიაშვილი (დ. ხანიშვილი 52), ყველიაშვილი, ნ. ნოზაძე, სადალაშვილი (აბრამიშვილი 40), კ. ხანიშვილი, ვარდოსანიძე, სულთანიშვილი (ტლაშაძე 74), სამადაშვილი, ბალაშვილი | დინამო: ლორია, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, დილმელაშვილი, ხმალაძე (ლ. ნოზაძე 66), ფეიქრიშვილი (ოდიკაძე 72), გ. მერებაშვილი, ს. კობახიძე (სპასოევიჩი 81), ს. იაშვილი |
| *სათადარიგონი:* კეჩხუაშვილი; სავანელი, კურტანიძე, ი. თაყაძე | *სათადარიგონი:* გრიშიკაშვილი; გ. კაშია, თომაშვილი, ხუციშვილი |
| მწვრთნელი: მამუკა ვარდოსანიძე | მწვრთნელი: დუშან უჰრინი |

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. ტეფნაძე, გ. დოგრაშვილი; მ. დოგრაშვილი

**ილია ნანობაშვილი**

**19 წლის** სანდრო კობახიძე მეგოლეობით არასოდეს გამოირჩეოდა, თუმც ბოლო ორი მატჩია, „დინამო“ სწორედ მისი გატანილებით ხსნის ანგარიშს. ასე იყო წინა ტურში „ბორჯომთან“ და ასე მოხდა გუშინ „დილასთანაც“ — თბილისელთა ნიჭიერმა მარცხენაფლანგელმა ფეიქრიშვილის პასით შვიდიოდე მეტრიდან გაიტანა. ფეიქრიშვილს კი შეტევაში ჩართულმა ავსტრალიელმა მცველმა ნედ ზელიჩმა გააყოლა ფლანგზე ბურთი. ეს 30-ე წუთზე მოხდა, მანამდეც და გოლის შემდეგაც „დინამო“ ვეება უპირატესობას ფლობდა.

დინამოელთა ჩეხმა თავკაცმა დუშან უჰრინმა წინა ტურში გოლის გამტანი ილია სპასოევიჩი თადარიგში დატოვა, რაკილა დისკვალიფიკაცია მოიხადა სანდრო იაშვილმა. უჰრინმა ორი თავდამსხმელით თამაში არ ისურვა, თუმც ამით „დილას“ დაცვას ხეირი არ ჰქონია — ფეიქრიშვილი და კობახიძე ფლანგებიდან აწიოკებდნენ მეტოქეს, ხოლო დავით დილმელაშვილი თავისი საფირმო პასების სტიქიაში იყო.

30-ე წუთამდე გორელთა მეკარე რევაზ თევდორაძემ გიორგი მერებაშვილის თავური და იაშვილის გასროლილი მოიგერია, ტაიმის ბოლოს კი ფეიქრიშვილმა შეაგდო — პირისპირ დარჩენილმა თევდორაძეს რბილად გადაავლო ბურთი თავზე.

მეორე ტაიმში „დინამოსგან“ კიდევ ველოდით გოლებს, მომენტებიც უხვად ჰქონდათ უჰრინის ბიჭებს, მაგრამ კობახიძემ და მერებაშვილმა კარს ვერ დაუმიზნეს, სანდრო იაშვილს კი ვერა და ვერ მიეცა ხეირიანად დარტყმის საშუალება.

...მაგრამ ამ მომენტებამდე „დილამ“ მოულოდნელად გაიტანა: კობა ხანიშვილის გრძელი პასის შემდეგ საბა სულთანიშვილი როგორღაც დაუძვრა დინამოელთა დაცვას და მეკარე გიორგი ლორიასთან პირისპირ დარჩენილმა მძლავრად დაარტყა — 1:2.

ანგარიში კარგი, მაგრამ „დილა“ ნაღდად არაა ის გუნდი, მეტისმეტი გაებედა ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდისთვის — დარჩენილ დროში დინამოელები დიდად არ ანერვიულებულან, პირიქით, ერთი ნაღდი საგოლე შანსი მერებაშვილს გაუცუდდა, შეცვლაზე ათი წუთის შესულმა დავით ოდიკაძემ კი საჯარიმოდან ძელს დაასვა „ავტოგრაფი“.

მოკლედ, უჰრინის სამწყსომ მორიგი სამი ქულა შეიმატა და ფიქრები 6 მარტისკენ აქვს — ამ დღეს „ამერთან“ სათასო მეოთხედფინალის საპასუხო მატჩია. „დილას“ კი, წაგება აქტივში როგორ ჩავუთვალოთ, მაგრამ „დინამოსთან“ 1:2 მარცხი თავში ხელების წაშენის საბაბს არ აძლევს...

## დევიდ ბექემის ტკივილთა ნაკრები: ინგლისის ეროვნული ნაკრები

# მე, ფანი!



თავის დროზე, როდესაც სტივ მაკლარენმა უთხრა, რომ ნაკრებში აღარ გამოიძახებს, დევიდ ბექემს თავზარი დაეცა, მაგრამ დღეს სხვა ჭკუაზეა. დღეს ბექჰი ამბობს, რომ მას მებრძოლის სული თვით ალექს ფერგიუსონმა შთაბერა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ყველა ღონეს იხმარს, რათა ეროვნულ გუნდში კუთვნილი ადგილი დაიკავოს.

წინ კი მართლაც მნიშვნელოვანი კვირაა. ჯერ ესპანეთის პირველობაზე „რეალის" შემადგენლობაში „ხეტაფესთან" არის სათამაშო, შემდეგ ჩემპიონთა ლიგაა, ბექემს „ბაიერნთან" მოუწევს თავის გამოჩენა — მაკლარენს ამ თამაშზე ბილეთი აქვს აღებული. შემდეგ კი ვარსკვლავს ისევ პრიმერადივიზიონი ელის, მაგრამ არ იკითხავთ, როგორი? „ელ კლასიკო", ანუ „ბარსელონა" — „რეალი".

მოკლედ, თუ დევიდ ბექემს ჩვენ მიერ ჩამოთვლილ შეხვედრებში ათამაშებენ, მაკლარენს მის გამოძახებაზე უარის თქმა უკვე ძალიან გაუჭირდება, არადა, ნაკრებს ისრაელსა და ანდორასთან უმნიშვნელოვანესი მატჩები ელის.

და კიდევ ერთი ყურადსაღები... ზემოთ ვთქვით, რომ ბექემმა „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელ ალექს ფერგიუსონზე თქვა კარგი სიტყვები. არადა, განა სწორედ ფერგიუსონმა არ გაყიდა „რეალში", ბოდიში და, თხასავით?!

ბექემი: „მე ძალიან ვგავარ სერ ალექსს. როდესაც ხალხს ჩემში ეჭვი შეაქვს, საპირისპიროს დამტკიცება მინდება. მე გავიზარდე კლუბში, რომელიც არასდროს ნებდებოდა. ჩვენ ყოველთვის მდგომარეობის გამოსწორებისთვის ვიბრძოდით, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც გვაკრიტიკებდნენ. სწორედ იმ გუნდის მწვრთნელის, ალექს ფერგიუსონის წყალობით მივაღწიე ცხოვრებაში ყველაფერს. მშობლები ყოველთვის მხარში მედგნენ, მაგრამ ფერგიუსონის გარეშე ვერასდროს ვერაფერს მივაღწევდი. ვერ გამოვიყენებდი იმ შანსების ნახევარსაც კი, ჩემი კარიერის მანძილზე რომ მქონდა...

...ბოლო დროს ფერგიუსონს ეუბნებოდნენ, რომ ინგლისის ჩემპიონი ვეღარასოდეს გახდებოდა, არადა, თავად ხედავთ, როგორ მიდის ამ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედი". მე კი მეუბნებიან, რომ ინგლისის ნაკრებში აღარასოდეს ამიყვანენ. აი, სწორედ ახლა მინდა დავამტკიცო, რომ ცდებიან...

...როდესაც მაკლარენმა დამირეკა და მითხრა, რომ საბერძნეთის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში არ ვჭირდები, საშინელი გრძნობა დამეუფლა. ეს გრნობა ძალიან ჰგავდა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინასთან შეხვედრაში გაძევების შემდეგ მორეულ ემოციას, როდესაც მოედანს ვტოვებდი. ასეთივე გრძნობა მომეძალა მაშინ, როდესაც მითრეს, რომ მადრიდის „რეალში" აღარასოდეს მათამაშებდნენ. ამ საძაგელ წუთებში თავს უსასოოდ გრძნობ, რადგან ვერაფერს ხდები. სხვა ამბავია, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად ბრძოლა შენს ხელშია. როდის მათამაშებენ ინგლისის ნაკრებში ისევ, არ ვიცი, მაგრამ მე მებრძოლი სულის კაცი ვარ და, როგორც კი შანსს ჩავიგდებ, გამოვიყენებ".

შემდეგ ბექემმა გულწრფელად თქვა, რომ მაკლარენისგან მის უნაკრებოდ დატოვებას არ ელოდა. დიახ, მას კაპიტნის სამკლავური ჩამოართვეს, მაგრამ ეს და ნაკრებში აღარ აყვანა ბექემს ერთი და იგივე არ ეგონა.

„ნამდვილად არ მეგონა, თუ არ გამომიძახებდნენ. საბერძნეთთან თამაშისთვის ჩვეულებრივ ვემზადებოდი, მაგრამ, როგორც გითხარით, მაკლარენმა დამირეკა და მითხრა, რომ არ ვჭირდები. სხვათა შორის, მას მერე მე ინგლისის ნაკრების მწვრთნელთან არ მილაპარაკია, მაგრამ ამას ჩვენს ურთიერთობებზე არანაირად არ უმოქმედია. ჩვენ ინგლისის ნაკრებში თუ „მანჩესტერ იუნაიტედში" ერთად გვიცხოვრია და გვიმუშავია და არა მგონია, ახლა მაშინდელთან შედარებით დიდად შეცვლილიყო".

„რეალის" ნახევარმცველმა გააბათილა ჭორები, თითქოს მას საკლუბო ფეხბურთის დატვირთვებთან ერთად სანაკრებოს გაძლება აღარ შეუძლია.

„ყოველდღე მესმის, როგორ ამბობენ, რომ ძალა აღარ მომდევს, მაგრამ ჩემი ფეხბურთი ხომ სწრაფი სირბილი არასდროს ყოფილა. მართალი გითხრათ, არც არასდროს ვყოფილვარ ჩქარი ფეხბურთელი, ისეთი, რომლის ამოცანა სხვების გადარბენაა. სამაგიეროდ, თუ ორ იარდს მომცემთ, ბურთს მეტოქის საჯარიმოში ზუსტად იქ ჩავაგდებ, საიდანაც ჩემი თანაგუნდელები გოლის გატანას შეძლებენ. აი, რა იყო და რა არის ჩემი სტილი. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ უმაღლეს დონეზე თამაშის უნარი არ დამიკარგავს. მგონი, სამი-ოთხი წელიწადი კიდევ კარგად უნდა ვითამაშო".

მოგეხსენებათ, ბექემი ზაფხულზე მადრიდის „რეალს" ტოვებს და ამერიკაში, „ლოს ანჯელეს გალაქსიში" მიდის. ამერიკა ინგლისისგან შორს არის და სეზონებიც დროში აცდენილია, მაგრამ ფეხბურთელი ამბობს, რომ ნაკრებში სათამაშოდ ეს წინააღმდეგობა ვერ იქნება.

„ამერიკაში ცხოვრების დროსაც ინგლისის განკარგულებაში დავრჩები. მართალია, იქაური სეზონი აქაურს არ ემთხვევა, მაგრამ მე ყოველთვის მეხერხებოდა ფორმის შენარჩუნება, მაშინაც კი, როდესაც ერთი ან ორი თვე გაცდენილი მქონდა. ინგლისის ნაკრებიდან წავვიდოდი, ჩემი პირით არასოდეს ვიტყვი".

ბექემის თქმით, მისი ნაირფეროვანი კარიერის განმავლობაში მრავალჯერ დამტკიცდა, რომ მუდმივი არაფერია, არც გამარჯვება და არც მარცხი.

„დედამიწა მრგვალია. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ წავედი, მწვერვალზე გავხლდით, იქიდან კი მიწაზე დანარცხებული დავბრუნდი. შემდეგ შრომითა და მონდომებით ისევ წამოვიმართე და დავრწმუნდი, რომ ყველაფერი ბრუნავს. 10-15 წლის განმავლობაში ბევრი აღმასვლა და დაცემა გადავიტანე. ამ მოვლენებიდან ზოგი დიდებული იყო, ზოგი საკამათო, ზოგი კი შესაგუებლად საძაგლობა გახლდათ, მაგრამ მე ყოველთვის ვპოულობდი პრობლემების გადალახვის გზას. მახსოვს, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ განახლებულ „უემბლიზე" ინგლისის ნაკრების სახელით თამაშზე ვოცნებობდი. ეს ოცნება კვლავ ცოცხალია, ხოლო რა მოხდება სინამდვილეში, დაველოდოთ და ვნახოთ. ეს მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული. ბევრი რამ ისე იქნება, როგორც მწვრთნელს მოუნდება".

და მაინც, რას იტყვის ბექემი, თუ სტივ მაკლარენი ნაკრებში კვლავ არ გამოიძახებს?

„ყოველთვის, როდესაც ინგლისის ნაკრების შემადგენლობას ასახელებენ და სიაში ჩემს გვარს ვეძებ ვკითხულობ, გული მწყდება. ათი წლის განმავლობაში ყველგან, სადაც კი ვყოფილვარ, შემადგენლობაში მითამაშია და, თუკი ბიჭებს რაიმე გადახდენიათ, ის მეც გადამხდენია. ამიტომაც, მოვლენათა ცენტრში ყოფნის გარეშე ძალიან მიჭირს ცხოვრება. მე ინგლისის ნაკრების ყველა თამაშს ვუყურებ ტელევიზიით და ჩემებს ვქომაგობ. რა ვქნა, ასეთი ბუნება მაქვს, ფეხბურთელები და გუნდის სხვა თანამშრომლები ხომ ჩემი მეგობრები არიან. მე ფანი გახლავართ, ხოლო ნაკრებში ამიყვანენ თუ არა, თავად გადაწყვიტონ".

**პაპუნა ძედია**



## ბაიერნის ფაში: რა კარგია!

**მიუნხენის** „ბაიერნის" მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი მარკ ვან ბომელის დასჯით უკმაყოფილოა.

შეგახსენებთ: უეფამ ჰოლანდიელ ფეხბურთელს ჩემპიონთა ლიგის მატჩში „რეალთან" ნაჩვენები ჟესტის გამო 6 200 ევროს გადახდა და ახალგაზრდებთან ფეირ პლეის პროპაგანდა დააკისრა.

„ვან ბომელს ქვეყანა არ დაუქცევია, რომ ასე დაესაჯათ. თუმცა, რა თქმა უნდა, მახარებს, რომ უეფამ „რეალთან" თამაშის უფლება მისცა" — განაცხადა მიუნხენის „ბაიერნის" თავკაცმა.

და ექსბარსელონელმა მარკ ვან ბომელმა კი ეს თქვა: „სასჯელს არ ვეთანხმები, თუმცა მოხარული ვარ, რომ „რეალთან" საპასუხო მატჩში თამაშის ნება დამრთეს და უფრო დიდი ჯარიმა არ ამკიდეს. თამაშის უფლება მაქვს, რაც ამ ეტაპზე ჩემთვის ყველაზე მთავარია".

**ლადო ხომერიძე**

# მადრიდში ქერა ანგელოზი ნახეს




**მადრიდის** „რეალის" მთავარი მწვრთნელი ფაბიო კაპელო „სანტიაგო ბერნაბეუს" დატოვებას სეზონის ბოლოს გეგმავს და „რეალსაც" სხვა თავკაცი ეყოლება — არა ბებერი და ჯიუტი, როგორიც დონ ფაბიოა, არამედ, შედარებით ახალგაზრდა და რკინის ნერვების მქონე ბერნდ შუსტერი.

შუსტერს ესპანეთში „ქერა ანგელოზს" ეძახიან და სწორედ მის დანიშვნას ელის ქომაგობა.

ესპანურმა AS-მა ფანკლუბების წევრთა შორის გამოკითხვა ჩატაარა და დაადგინა, რომ გულშემატკივართა 43 პროცენტი შუსტერის მომხრეა. მეორე ადგილზე პორტუგალიელი ჟოზე მაურინიუ (25%) გავიდა, მესამეზე „ლივერპულის" ესპანელი თავკაცი რაფაელ ბენიტესი (18%), შემდეგ კი ძველი მადრიდელები, ვისენტე დელ ბოსკე (10%) და მიჩელი (4%) მოდიან.

„რეალის" პრეზიდენტ რამონ კალდერონს „ქერა ანგელოზის" მოყვანა ადრეც უნდოდა, თუმცა მაშინ ორიენტაცია მაინც უფრო გამოცდილ და ტიტულიან მწვრთნელზე გააკეთა და გუნდი კაპელოს ჩააბარა.

სამეფო თეთრების სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა ერთ-ერთ ესპანურ გაზეთთან ინტერვიუში პირდაპირ განაცხადა, თუ სასწაული არ მოხდა, მომავალ სეზონში „რეალს" ბერნდ შუსტერი გაწვრთნისო.

არადა, „ანგელოზის" ახლანდელი კლუბის, „ხეტაფეს" პრეზიდენტ მიგელ ანხელ ტორესს თუ დავუჯერებთ, შუსტერს მიატოვიჩი ჭირივით ეზიზღება და სანამ ის „ბერნაბეუზე" სპორტულ დირექტორად იქნება, თანამშრომლობა გამორიცხულია.

პატივცემული ტორესი შუსტერ-მიატოვიჩის წაკიდების მიზეზს არ ამხელს, ხოლო პრორეალური გაზეთები აცხადებენ, „ხეტაფეს" პრეზიდენტი ცრუობს და კონფლიქტი თვალის ასახვევად მოიგონაო.

შეგახსენებთ, რომ გერმანელ ბერნდ შუსტერს თავის დროზე „რეალის" მოსისხლე მტერ „ბარსაში" უთამაშია — „ბერნაბეუზე" სწორედ იქიდან მივიდა. ახლა მისი გაწვრთნილი „ხეტაფე" პრიმერას ცხრილში მერვეზეა, შესანიშნავად თამაშობს და კვირას სწორედ „რეალთან" უწევს შერკინება.

მოკლედ, მადრიდში დიდი რიარიაა...

**ლადო ხომერიკი**

## გიგზის გოლი დაამტკიცეს

**უეფას** სააპელაციო კომიტეტმა „ლილის" სარჩელი არ დააკმაყოფილა. ფრანგები რაიან გიგზის გოლის გაუქმებას ითხოვდნენ, რომელიც მან ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ მატჩში გაიტანა. მაშინ გიგზმა მსაჯის სასტვენამდე და კედლის დაწყობამდე დაარტყა, რასაც მასპინძელთა კარში გოლი მოჰყვა. ამან ლილელები გააბრაზა და მოედნიდან გასვლა დააპირეს.

ფრანგებმა მატჩიდან რამდენიმე დღეშივე იჩივლეს უეფაში და ვერაფერს მიაღწიეს, შემდეგ კი სააპელაციოს მიმართეს, საიდანაც ასევე უარით გამოისტუმრეს. უეფელებმა განაცხადეს, რომ გოლი წესების სრული დაცვით გავიდა.

## სულთანი გაიაფდა

**სანკტ პეტერბურგის** „ზენიტი" მოსკოვის „სპარტაკს" ფატიჰ თეკეს ყიდვას სთავაზობს — 29 წლის თურქ ფორვარდში ზენიტელები 5 მილიონ ევროს ითხოვენ. მათი მწვრთნელის დიკ ადვოკაატის აზრით, თეკეს სათადარიგოთა სკამი ელის, რადგან გუნდში ორი ახალი შემტევი მივიდა: დომინგესი და პოგრებნიაკი. თურქი სეზონში მილიონ 700 ათას ევროს იღებს და ასე ძვირი კაცის სათადარიგოებში დასმა ნევისპირელებს არ სურთ.

„ზენიტი" მზადაა, თურქ ფეხბურთელის ფასი დააკლოს, თუკი „სპარტაკი" დაინტერესდება, არადა, პეტერბურგელებმა შარშან „სულთანის" (ფორვარდის მეტსახელია) სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო გადაიხადეს.

## გაბუტულოვიჩი მოლბა

**მილანის** „ინტერის" შვედმა ფორვარდმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ბუტიაობა დაასრულა და ნაკრებში დაბრუნებას დათანხმდა. ამის შესახებ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ გუშინ განაცხადა.

ზლატანი შარშან სექტემბერში მოკვეთა მწვრთნელმა ლარს ლაგერბეკმა გუნდიდან, რადგან ბაზაზე ორი საათით დაიგვიანა — ის და ოლაფ მელბერგი სადღაც ბარში სუფრას შემორჩნენ. მელბერგს აპატიეს და დააბრუნეს, იბრაჰიმოვიჩმა კი იწყინა და თვითონ თქვა უარი ნაკრებში თამაშზე.

ინტერელს დრომ უმკურნალა, გადაწყვეტილება შეცვალა და ახლა კვლავ გამოჩნდება ლურჯ-ყვითელ მაისურში.

შვედეთის ნაკრებს ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩი 28 მარტს ჩრდილოეთ ირლანდიასთან ელის.

**ვაჟა ხუციშვილი**

| XXIV ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| შალკე | : | ჰამბურგი |
| *წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვ.) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის* | | |
| **დღეს** | | |
| ლევერკუზენი | : | შტუტგარტი |
| ვოლფსბურგი | : | გლადბახი |
| აინტრახტი | : | ჰანოვერი |
| ვერდერი | : | ბოხუმი |
| ჰერტა | : | ბაიერი |
| არმინია | : | ნიურნბერგი |
| **ხვალ** | | |
| ალემანია | : | მაინცი |
| დორტმუნდი | : | კოტბუსი |

# გერმანია

# ბაიერნს რვადღიანი გამოცდა ეწყება

**წინა** ტურში „შალკეს" მძლეველი „ლევერკუზენი" ბედს არ უჩივის. „ფარმაცევტებმა" ხომ „ხუმარებს" სტუმრად მოუგეს და პირველი საშინაო მარცხი აგემეს, მანამდე კი უეფას თასზე „ბლექბერნიც" გაიარეს.

აი, ასეთი „ლევერკუზენი" უმასპინძლებს „შტუტგარტს", რომელიც, თავის მხრივ, კარგ ფორმაშია და უკვე ხუთი ტურია, არ წაუგია. გარდა ამისა, ოთხშაბათს გერმანიის თასზე „ჰერტას" 2:0 აჯობა და ნახევარფინალში გავიდა. „ფარმაცევტთა" კარში კვლავ რენე ადლერი ჩადგება, რომელმაც „შალკესთან" მატჩში სასწაულები ჩაიდინა. ადლერმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი იმის გამო მოიპოვა, რომ ჰანს-იორგ ბუტი დისკვალიფიცირებული იყო და ისე ითამაშა „ხუმარებთან", ეგებ ბუტს აღარც აღირსონ პირველობა.

მასპინძლებს ტრავმირებული ჰყავთ როკე ჟუნიორი და ალექსანდრ მაიერი, ხოლო სერგი ბარბარესი დასჯილია.

„ვოლფსბურგს", ისევე, როგორც მის დღევანდელ მეტოქე „გლადბახს", უკვე სამი ტურია, არ მოუგია, თუმცა ზედიზედ ექვსი მატჩია, მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. ერთი კვირის წინ „ბაიერნთან" 1:2 კი წააგო, მაგრამ არცთუ ურიგოდ ითამაშა.

„გლადბახი" ცხრილის ფსკერზეა და ზემოთ ასვლას ლამობს, რათა მეორე ბუნდესლიგაში არ გავარდეს, თუმც სტუმრად ვერ ყოჩაღობს. სტუმრებს მეგოლე ოლივერ ნოივილი დააკლდებათ ტრავმის გამო.

გლადბახივით გაჭირვებულია „აინტრახტიც", ვისაც მეორე წრეში მოგების გემო არ გაუსინჯავს და ცხრილის შუიდან ქვემოთ დაეშვა. ფრანკფურტელებმა ბოლო ორ საშინაო მატჩში გოლის გატანა ვერ მოახერხეს და ეგებ ახლა შეძლონ „ჰანოვერთან", რომლის ფორვარდებიც, თავის მხრივ, იშტაზე არიან — „ჰანოვერმა" ხუთ ტურში 16 გოლი გაიტანა და 13 ქულა მოაგროვა, რამაც გუნდი მეშვიდე ადგილზე აიყვანა.

სტუმრებს ტრავმირებული ჰყავთ ბრდარიჩი და ტარნატი, ხოლო ბალიჩი დისკვალიფიცირებულია.

ბრემენის „ვერდერს", რომელიც ჩემპიონობის მთავარი ფავორიტი იყო, საქმე ისე წაუვიდა, მოგება ენატრება. „მუსიკოსებს" უკვე ოთხი ტურია, არ უმარჯვიათ და ბოლო ორ საშინაო შეხვედრაში გოლიც კი ვერ გაიტანეს. მათი მეტოქე კი დღეს „ბოხუმია", რომელსაც მეორე წრეში სტუმრად თამაში არ წაუგია. „ბაიერნს" და „კოტბუსს" თითო ქულა აართვეს, ხოლო „არმინიას" 3:1 მოუგეს.

„ვერდერს" სეზონის ბოლომდე ტრავმის გამო გამოაკლდა ტიმ ბოროვსკი, ხოლო მიროსლავ კლოზე, მიუხედავად იმისა, რომ გრიპი აქვს, ალბათ ითამაშებს.

„უახლოეს რვა დღეში გამოჩნდება, თუ რა ვასწავლე გუნდს — თქვა ოტმარ ჰიცფელდმა — „ჰერტასთან", „რეალთან" და „ვერდერთან" ურთულესი მატჩები გველის. შეგირდებს ვუთხარი, რომ თუ ამ შეხვედრებს მოიგებენ, წინ დიდ ნაბიჯს გადადგამენ. ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ".

„ბაიერნი" „ჰერტას" ესტუმრება, რომელსაც ვერ დაეხმარებიან ბაშთურქი და ბოატენგი, ხოლო მოუნხენელებს ჰარგრივსი და ისმაელი დააკლდებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შალკე | | | 2:0 | 2:2 | | 2:0 | 2:1 | 0:1 | 3:1 | 4:0 | 2:0 | | | 2:1 | 2:1 | | 1:1 | | 23 | 15 | 4 | 4 | 40:22 | 49 | 8 | 2 | 1 | 22:8 | 26 | 7 | 2 | 3 | 18:14 | 23 |
| 2 | შტუტგარტი | 3:0 | | 4:1 | | 0:3 | 0:0 | | 3:0 | 1:3 | | | | 2:0 | | 1:0 | 3:2 | 1:1 | 1:0 | 23 | 13 | 6 | 4 | 41:26 | 45 | 7 | 2 | 2 | 19:10 | 23 | 6 | 4 | 2 | 22:16 | 22 |
| 3 | ვერდერი | 0:2 | 2:3 | | 3:1 | | 3:1 | 3:0 | 2:1 | 1:3 | | 2:1 | 1:1 | 0:2 | | | 3:0 | | 3:0 | 23 | 13 | 4 | 6 | 55:32 | 43 | 7 | 1 | 4 | 23:15 | 22 | 6 | 3 | 2 | 32:17 | 21 |
| 4 | ბაიერნი | | 2:1 | | | 0:0* | 4:2 | 0:1 | | 2:0 | | 2:1 | 2:1 | | 2:1 | 0:0 | 1:0 | 2:0 | 1:1 | 23 | 12 | 4 | 7 | 35:27 | 40 | 8 | 3 | 1 | 18:8 | 27 | 4 | 1 | 6 | 17:19 | 13 |
| 5 | ნიურნბერგი | 0:0 | 4:1 | 1:2 | 3:0 | | | 3:1 | 3:2 | 1:1 | 1:1 | | 1:0 | | | 1:1 | 1:1 | | 1:0 | 23 | 8 | 12 | 3 | 32:19 | 36 | 6 | 5 | 1 | 20:10 | 23 | 2 | 7 | 2 | 12:9 | 13 |
| 6 | ჰერტა | 2:0 | 2:2 | | | 2:1 | | 4:0 | | | 1:2 | 2:1 | | 2:1 | 2:1 | 3:3 | | 1:0 | 2:1 | 23 | 9 | 7 | 7 | 33:35 | 34 | 8 | 2 | 1 | 23:12 | 26 | 1 | 5 | 6 | 10:23 | 8 |
| 7 | ჰანოვერი | | 1:2 | 2:4 | | | 5:0 | | 1:1 | 4:2 | 1:0 | 2:2 | | | 0:3 | 0:2 | 1:1 | 1:1 | | 23 | 9 | 6 | 8 | 32:34 | 33 | 3 | 4 | 4 | 18:18 | 13 | 6 | 2 | 4 | 14:16 | 20 |
| 8 | ლევერკუზენი | 3:1 | | 0:2 | 2:3 | | 2:1 | 0:1 | | | 1:1 | 1:1 | 3:1 | 1:2 | 3:0 | | | 2:2 | | 23 | 9 | 5 | 9 | 36:34 | 32 | 4 | 3 | 4 | 18:15 | 15 | 5 | 2 | 5 | 18:19 | 17 |
| 9 | დორტმუნდი | | 0:1 | | 3:2 | | 1:2 | 2:2 | 1:2 | | 1:1 | 1:0 | | 1:0 | 0:0 | 1:1 | 1:1 | | 1:0 | 23 | 7 | 7 | 9 | 27:32 | 28 | 4 | 5 | 3 | 13:12 | 17 | 3 | 2 | 6 | 14:20 | 11 |
| 10 | მაინცი | | 0:0 | 1:6 | 0:4 | 2:1 | 1:1 | | | 1:0 | | 1:2 | 4:1 | 0:0 | 1:3 | 2:1 | | 1:1 | | 23 | 6 | 9 | 8 | 21:33 | 27 | 4 | 4 | 4 | 14:20 | 16 | 2 | 5 | 4 | 7:13 | 11 |
| 11 | ვოლფსბურგი | 2:2 | 1:1 | | 1:0 | 1:1 | 0:0 | 1:2 | 3:2 | | | | 0:0 | 1:0 | 1:2 | | | 2:2 | | 23 | 5 | 10 | 8 | 23:28 | 25 | 3 | 6 | 2 | 13:12 | 15 | 2 | 4 | 6 | 10:16 | 10 |
| 12 | კოტბუსი | 2:4 | 0:0 | | | 1:1 | 2:0 | 0:1 | | 2:3 | 2:0 | | | 2:2 | | 0:0 | 2:1 | 0:1 | 3:1 | 23 | 6 | 7 | 10 | 25:32 | 25 | 4 | 4 | 4 | 16:14 | 16 | 2 | 3 | 6 | 9:18 | 9 |
| 13 | ჰამბურგი | 1:2 | | 1:1 | 1:2 | 0:0 | 1:1 | 0:0 | | 3:0 | | | 1:1 | | | | 1:1 | 3:1 | 1:1 | 23 | 4 | 12 | 7 | 27:27 | 24 | 2 | 7 | 2 | 13:10 | 13 | 2 | 5 | 5 | 14:17 | 11 |
| 14 | ალემანია | 0:1 | 2:4 | 2:2 | 1:0 | 1:1 | | 1:4 | 2:3 | | | | 1:2 | 3:3 | | 2:1 | | 2:3 | 4:2 | 23 | 6 | 6 | 11 | 35:44 | 24 | 3 | 3 | 6 | 21:26 | 12 | 3 | 3 | 5 | 14:18 | 12 |
| 15 | ბოხუმი | | | 0:6 | 1:2 | 0:2 | | | 1:3 | | 0:1 | 0:1 | 0:1 | 2:1 | 2:2 | | 2:1 | 4:3 | 2:0 | 23 | 6 | 6 | 11 | 27:36 | 24 | 4 | 1 | 7 | 14:23 | 13 | 2 | 5 | 4 | 13:13 | 11 |
| 16 | არმინია | 0:1 | 2:3 | | 2:1 | | 2:2 | | 0:0 | | 1:0 | 0:0 | 3:1 | 1:1 | 5:1 | 1:3 | | | 0:2 | 23 | 5 | 8 | 10 | 28:31 | 23 | 4 | 4 | 4 | 17:15 | 16 | 1 | 4 | 6 | 11:16 | 7 |
| 17 | აინტრახტი | 1:3 | 0:4 | 2:6 | | 2:2 | | | 3:1 | 1:1 | 0:0 | 0:0 | | 2:2 | | | 0:3 | | 1:0 | 23 | 4 | 11 | 8 | 28:42 | 23 | 2 | 5 | 4 | 12:22 | 11 | 2 | 6 | 4 | 16:20 | 12 |
| 18 | მიონხენგლადბახი | 0:2 | | 2:2 | | 0:0 | | 0:1 | 0:2 | 1:0 | 1:1 | 3:1 | 2:0 | | 0:0 | | 1:0 | | | 23 | 5 | 6 | 12 | 18:29 | 21 | 4 | 4 | 3 | 10:9 | 16 | 1 | 2 | 9 | 8:20 | 5 |

# ნეტავ, ვინ ამხნევებს მატყუარა ვენგერს?



**არსენ ვენგერმა** „კარლინგის თასის" ფინალის, ანუ გასული კვირის მსაჯობაზე რაც თქვა, „სარბიელის" მკითხველს კარგად მოეხსენება. იმ მატჩში „არსენალმა" „ჩელსისთან" 1:2 წააგო. ვენგერი კი ცხარობდა, მოედნიდან გაძევებულ ემანუელ ადებაიორს ფრენკ ლამპარდისთვის ხელი არ უკრავს და ეგ ლამპარდი თუ პატიოსანი ბიჭია, სიმართლე თავისი პირით აღიაროსო.

შემდეგ „არსენალის" ფრანგი მწვრთნელი თანამსაჯს ჯარიმის ტყუილად დანიშვნის გარდა ოქმში ტყუილების ჩაწერაზეც მიედავა, მაგრამ გაწიწმატება ცუდად შემოუბრუნდა, ფეხბურთის ასოციაციამ თავად უწოდა მატყუარა.

თურმე ოქმში სულაც არ წერია, რომ ადებაიორმა ლამპარდს ხელი ჰკრა. თანამსაჯს აღუნიშნავს, რომ ადებაიორი აგრესიულად იქცეოდა, ხელი რიკარდუ კარვალიუს ჰკრა, ხოლო ლამპარდისთვის მუჯლუგუნის მირთმევა მხოლოდ სურდა.

მოკლედ, ის, რასაც ვენგერი დავობდა, თურმე არსად ყოფილა აღნიშნული.

სიტყვას ფასი არც ლამპარდმა დაადო. ხომ ანამუსებდა ვენგერი, გამოდი და, სიმართლე თქვიო, ჰოდა, ისიც გამოვიდა და თქვა, რომ ადებაიორს მისთვის ხელი მართლაც არ უკრავს.

„არსენალის" მწვრთნელს კი ასოციაცია წერილობით ახსნა-განმარტებას სთხოვს და, სავარაუდოდ, გვარიან ჯარიმასაც დაადებს...

ვენგერი: „ამ თამაშში ბევრი ისეთი რამ მოხდა, რისი ახსნაც მე პირადად მიჭირს. მაგალითად, თამაშის შემდეგ უამრავმა ადამიანმა დამირეკა, ბევრი მათგანი უცხოეთიდან მელაპარაკა. ისინი მამხნევებდნენ, აღშფოთებას გამოხატავდნენ, და რაც ყველაზე საინტერესოა, „არსენალის" ქომაგები არ იყვნენ".

**ბაბუნა ძიდია**

# ფაბრეგასმა ბარსელონა საცოლეს დააბრალა



**არსენალელი** სესკ ფაბრეგასი კარიერის დასრულებას მშობლიურ კატალონიაში აპირებს. „მეთოფეთა" ფეხბურთელს ლონდონში „კატალონია რადიო" დაუკავშირდა და გამოარკვია, რომ სესკს სამშობლოში დაბრუნება სურს.

„ჯერ მხოლოდ 19 წლის ვარ, „არსენალში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ და აქ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლო. თუმცა ერთი-ორი წლის შემდეგ რა მოხდება, არავინ იცის" — განაცხადა ფაბრეგასმა.

„კატალონია რადიოს" ფრანსესკმა ისიც უთხრა, კატალონიელი საცოლე მყავს და მალე ბარსელონაში ჩამოვალ საცხოვრებლადო.

„ჩემი საცოლე კატალონიელია. სიცოცხლის ბოლომდე ლონდონში ცხოვრებას არ ვაპირებ, მალე ალბათ კარიერას ესპანეთში გავაგრძელებ" — თქვა სესკმა.

**ლადო ხომერიკი**

## ბენტუს აღსასრული

**პორტუგალიის** ნაკრების ყოფილი მეკარე, 58 წლის გარლინიო ბენტუ გუშინწინ ლისაბონის ჰოსპიტალში გარდაიცვალა. იგი 1972 წლიდან იყო ეროვნულ გუნდში. ევროპის (1984) და მსოფლიოს (1986) ჩემპიონატებზე უთამაშია, „ბენფიკას" გოლკიპერი გახლდათ და რვაჯერ მოიგო პორტუგალიის ჩემპიონატი.

ოთხშაბათს ბენტუ „ბენფიკას" 103-წლისთავისადმი მიძღვნილ ბანკეტზე ნახეს, მეორე დღეს კი გარდაიცვალა...

## პასარელა იახტის ღუზამ ჩაუშვა

**23-თვიანი** მუქთად შრომა მიუსაჯეს არგენტინული „რივერ პლეიტის" მწვრთნელ დანიელ პასარელას გადასახადის დამალვისთვის. პასარელამ 1997 წელს აშშ-დან 160 ათას დოლარად ღირებული იახტა იყიდა და განბაჟებისას დეკლარაციაში 70 ათასი ჩაწერა — ეს ამბავი გამოუჩხრიკეს და გუშინწინ სასამართლომ განაჩენი გამოუტანა.

არგენტინის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი 23 თვის განმავლობაში კვირაში ექვს საათს უფასოდ იმუშავებს სკოლაში ბავშვებთან.

| XXIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| პორტსმუთი | : | ჩელსი |
| შეფილდი | : | ევერტონი |
| უოტფორდი | : | ჩარლტონი |
| არსენალი | : | რედინგი |
| ფულემი | : | ასტონ ვილა |
| ლივერპული | : | მანჩესტერი |
| სიტი | : | უიგანი |
| ნიუკასლი | : | მიდლსბრო |
| **ხვალ** | | |
| ბოლტონი | : | ბლექბერნი |
| ვესტ ჰემი | : | ტოტენჰემი |

# ინგლისი

# ფრთხილად, ის ჩვენთანაა!

## რუნი ლივერპულს რონალდუთი ემუქრება

**უეინ რუნიმ** „ლივერპული" გააფრთხილა — თქვენს წინააღმდეგ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ითამაშებსო. რუნის აზრით, კრიშტიანუ რონალდუ ამჟამად სწორედ რომ პირველია. მთლიანად „მანჩესტერიც" კარგ ფორმაში და გუნებაზეა. წინა ტურში „ფულემთან" მოგებით „ჩელსის" ცხრა ქულით გაექცნენ და დღეს „ლივერპულთან" თუ იმარჯვეს, დიდი ნაბიჯს გადადგამენ მეცხრე ჩემპიონობისკენ ფერგიუსონის ხელში.

„ძალიან მიხარია, რომ ჩვენს გუნდში თამაშობს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. ის ბრწყინვალე, ფანტასტიკურია ამ სეზონში. მუნდიალზე ჩვენ შორის მომხდარი ამბისა და მედიისაგან დიდი კრიტიკის მიუხედავად, ფსიქოლოგიურ ზეწოლას გაუძლო. ვიმედოვნებ, სეზონის ბოლომდე ასე გააგრძელებს" — განაცხადა რუნიმ, რომელსაც ბოლო ხუთ მატჩში გოლი არ გაუტანია.

„მანჩესტერს" ლივერპულში უკვე ოთხი წელია, არ წაუგია. მეტიც, ოთხიდან სამჯერ მოიგო, მაგრამ ამჟამად „ლივერპული" ძალიან კარგად თამაშობს შინ — 30 მატჩია, არ დამარცხებულა და ზედიზედ ცხრაჯერ კარი მშრალად შეინახა.

შეგახსენებთ, რომ ორივე გუნდს მომავალ კვირაში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრა ელის. „მანჩესტერი" „ლილის" უმასპინძლებს, „ლივერპული" კი — „ბარსელონას".

სტივენ ჯერარდი: „ამ ოთხ დღეში ორი მატჩის მოგება ხასიათს ერთიორად გამოგვიკეთებს. მცირე საჩემპიონო შანსსაც შევინარჩუნებთ და ჩემპიონთა ლიგაში გზასაც გავაგრძელებთ."

რაფაელ ბენიტესი ალბათ ოდნავ შეცვლის იმ შემადგენლობას, რომელმაც წინა ტურში „შეფილდი" 4:0 დაამარცხა. სავარაუდოდ, კრეიგ ბელამი დაისვენებს, ხაბი ალონსო კი ძირითადში იქნება. ასევე დაბრუნდება მეკარე ხოსე რეინა, რომელსაც შვილი შეეძინა და ამიტომ გამოტოვა „შეფილდთან" შეხვედრა.

რაინ გიგზი ითამაშებს და მისთვის ეს იქნება მე-700 მატჩი „მანჩესტერის" მაისურით — იგი პირველი შვიდასიანი გახდება ლეგენდარული ბობი ჩარლტონის შემდეგ.

„არსენალს", რომელიც „რედინგს" მასპინძლობს, ზედიზედ სამი მარცხი ამძიმებს. „მეთოფეებმა" ჩემპიონთა ლიგის მატჩში პსვსთან წააგეს, მერე ამას ლიგის თასის ფინალში „ჩელსისთან" 1:2 მოჰყვა, ოთხშაბათს კი ასოციაციის თასიდან ისინი „ბლექბერნმა" გააძევა.

მიჯრით ოთხი თამაში „არსენალმა" ბოლოს 2002 წლის ოქტომბერში წააგო და იმავეს გამეორებას არ აპირებს. „მეთოფეებს" დღეს კოლო ტურე, ემანუელ ადებაიორი და ემანუელ ებუ დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებიან. ისინი ლიგის თასის ფინალში ჩელსელებთან ჩხუბის გამო დასაჯეს.

ფორმაში ვერაა ტიერი ანრი, ვინც 22 იანვრის შემდეგ მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, ხოლო პატარა ფაბრეგასი მარჯვნივ და მარცხნივ ყველას ეჩხუბება. ბრაზილიელმა ჟილბერტო სილვამ თანაგუნდელებს ურჩია, ნერვები მოთოკონ: „ახალგაზრდებმა საკუთარი თავის კონტროლი უნდა ისწავლონ. გასაგებია, რომ მარცხი აღიზიანებთ, მაგრამ ამ რთულ პერიოდში ჩვენ ერთიანობა გვჭირდება, რათა კვლავ შევიგრძნოთ გამარჯვების გემო.

**მაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 1:1 | 2:0 | 0:1 | | 3:2 | 3:0 | 3:0 | 1:0 | | 2:0 | | 3:1 | 5:1 | 3:1 | | 3:1 | 2:0 | | 4:0 | 28 | 22 | 3 | 3 | 65:19 | 69 | 12 | 1 | 1 | 35:8 | 37 | 10 | 2 | 2 | 30:11 | 32 |
| 2 | ჩელსი | | | 1:0 | 1:1 | | 2:2 | | 2:1 | | 3:0 | 1:0 | 3:0 | 1:1 | 2:2 | 3:0 | | 4:0 | 2:1 | 1:0 | 4:0 | 27 | 18 | 6 | 3 | 48:19 | 60 | 10 | 4 | 0 | 30:8 | 34 | 8 | 2 | 3 | 18:11 | 26 |
